პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — პარასკევი, 25 სექტემბერი 1925 წ. — წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ. — თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

217 (915) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კიდევ ახალწვეულების შეხვედრისათვის მზადების შესახებ.

უნდა ვემზადოთ მომავალ გაწვევისათვის. ეს მთავარი, ძირითადი ამოცანა, რომელიც წინ უდევს ჩვენს ნაწილებს და რომლითაც ისაზღვრება მთელი მისი მუშაობა და მოქმედება ამ უახლოეს პერიოდში.

მეთაური, პოლიტხელი, ლენკუთხეც, კომუჯრედი, ბიბლიოთეკა და სხვა—ყველა ესენი აქედანვე უნდა ამოძრავდენ, აქედანვე უნდა შეუდგენ ახალწვეულის მიღებისათვის მზადებას.

აქ სავსებით გათვალისწინებულ და გამოყენებულ უნდა იქმნას წარსული გაწვევის გამოცდილება, ყველა მისი მიღწევები და უარყოფითი მხარეები.

მთავარი ამ მოსამზადებელ მუშაობაში არის ის გარემოება, რომ ახალ წვეულის პირველ გაცნობამ წითელი ყაზარმასთან თავიდანვე სწორი წარმოდგენა უნდა მისცეს მას წითელ ჯარზე. როგორც კი ახალ წვეული ფეხს შესდგამს წითელ ჯარში მან მყისვე უნდა იგრძნოს წითელი არმიის რევოლიუციონური წესრიგი, მისი დიადი მნიშვნელობა და დანიშნულება.

ეს მიღწევა არც ისე ადვილი ამოცანაა. სწორედ ამიტომაც საჭიროა გაღრმავებული, მოსაზრებული, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ყოველივე წვრილმანი, ყოველივე მხარე მომავალი შეხვედრისა უნდა იქნას სავსებით გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებული. განსაკუთრებით როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს და კვლავ ვიმეორებთ საჭიროა ამ მოსამზადებელ მუშაობაში ენერგიული აქტიური მონაწილეობა მიიღონ დარჩენილ წითელ არმიელებმა.

ისინი უნდა გახდენ მეთაურებისა და პოლიტმომუშავეების საუკეთესო დამხმარენი ახალწვეულების აღზრდის საქმეში.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველებმა „მაღლიდან“ უნდა დაუწყონ ცქერა ახალ მოსულებს. ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია.

ყოველგვარ „უფროსობის“ კილოს, ამაყობას, ათვალისწუნებას ძველი წითელ არმიელის მიერ, სასტიკად უნდა ებრძოლონ თვით წითელ არმიელებმა.

ამ გზით ძველი მოლაშქრეები ვერ გახდებიან კარგი აღმზრდელები. პირიქით ხელს შეუშლიან ახალწვეულების სათანადოთ მომზადების საქმეს.

ამიტომ დარჩენილ წითელ არმიელებს მართებთ ახალ წვეულებს მიუდგენ როგორც თანასწორ გამოუცდელ ამხანაგებს. თითეული ძველი წითელ არმიელი მოვალეა თავისი მეგობრული, ამხანაგური მოპყრობით ახალისადმი დაიმსახუროს ამ უკანასკნელის სრული ნდობა და სიყვარული.

მაშინ ძველი წითელი მოლაშქრე წარმატებით შესძლებს თავის ამხანაგური მითითებებით და დარიგებით, თავისი სამაგალითო დისციპლინიანობით და მუყაითი მეცადინეობით დაეხმაროს ახალგაზრდა წითელ არმიელს გახდეს საბჭოთა ხელისუფლების ღირსეული დამცველი.

# ახალი რადიო-ამბები

## საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია იაპონიაში.

### იაპონიის მუშათა კლასმა მხურვალედ შეეგება დელეგაციას.

### იაპონელ მუშების მასსიური დაპატიმრებანი.

23 სექტემბერს ქ. ტოკიოში (იაპონიის დედა ქალაქში) ამხ. ლეპსეს მეთაურობით ჩავიდა ს. რ. კ. პროფკავშირთა საბჭოს დელეგაცია. ქ. შიმონსეკში. დელეგაციას შეეგება მისასალმებლად ქ. ტოკიოს და ოსაკას პროფკავშირების მიერ საგანგებოდ შედგენილი დელეგაცია.

ყველა სადგურებზე დელეგაციას მუშების ჯგუფები ხვდებოდენ, რომელიც მხურვალეთ ესალმებოდენ მათ, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც მათ უწევთ პოლიცია.

პოლიციამ დელეგაციის ქ. ტოკიოში ჩასვლის წინ დაატუსაღა იაპონიის პროფკავშირთა მემარცხენე ფრთის ბელადები. სადგურზე პოლიციამ ნება არ დართო მუშებს მისალმებოდათ დელეგაციას და მხოლოდ 30 წარმომადგენელი გაუშვა.

როდესაც სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის ხელმძღვანელი მისასალმებელ სიტყვას ამბობდა, ის იქვე დელეგაციის წევრების თვალწინ, დაატუსაღა პოლიციამ. მასთანვე დაატუსაღეს იაპონიის პროფკავშირთა დელეგაცია, რომელიც არჩეული იყო საბჭოთა პროფკავშირის დელეგაციის შესახვედრად. ახლო მდებარე ქუჩებში ნამდვილი ქუჩის ბრძოლა გაჩაღდა მუშებსა და პოლიციას შორის. პოლიცია წითელ დროშებს ხევდა, სცემდა დემონსტრანტებს და მრავალს მათგანს ატუსაღებდა. მიუხედავათ ამისა მუშების ჯგუფებმა მაინც რევოლიუციონურ სიმღერებით შეხვდენ დელეგაციას. პოლიციამ ყოველგვარი ზომები მიიღო ჩამოეშორებია ადგილობრივი პროფკავშირების დელეგაცია. ამ გარემოებით ძლიერ გაკვირვებულნი არიან ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლები, რადგან დელეგაციის მიზნებს კარგად იცნობდენ იაპონიის მთავრობა, როდესაც დელეგაციას ვიზას (შესვლის ნებართვას) აძლევდენ.

ინგლისის რკინის გზელთა დემონსტრაციაზე, ქ. ლონდონში, ლაპარაკის ნება არ მისცეს რკინის გზელთა ფედერაციის მდივანს, გამყიდველ ტომასს. როდესაც მან მოინდომა ლაპარაკი მუშებმა რევოლიუციონური სიმღერებით გააჩუმეს ის.

(დეპეშებიდან).



მუშა. (თავზარდაცემულ ტომასს)

ყოველთვის ჩაგვჩიჩინებდნენ
„შეუთანხმდეთ, მოურიგდეთ“.
აწ კი სიტყვა ჩვენ გვეკუთნის
თქვენ, ყვითლებო ყური გვიგდეთ.

— —

ლაპარაკობთ, ვით ბულბულნი
ჩვენთვის ყველანი ხართ უქმი
თქვენ სხვებზე შეგტკივათ გული
ლაქიებო, პირში ბურთი!

## ამბები სხვა და სხვა ქვეყნებიდან.

### 130. ათასი გაფიცული.

ინდოეთის ქალაქ ბომბეიაში გაიფიცა 130.000 ფეიქარი.

## კომუნისტების დევნა საფრანგეთში.

მაროკოს სისხლიანი ავანტიურა კვლავ გრძელდება. საფრანგეთის იმპერიალიზმმა გადასწყვიტა რაც არ უნდა დაუჯდეს გაანადგუროს რიფები და სასტიკად დასაჯოს ისინი ურჩობისათვის.

საფრანგეთის თვითმფრინავები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და მრავალათასიანი ჯარები ანადგურებენ რიფების ლაშქარს, იპყრობენ სოფელს სოფელზე და მიწასთან ასწორებენ მათ. გამხეცებული იმპერიალიზმის სისაძაგლეს არ უჩანს საზღვარი. მაგრამ მიუხედავად ძლევამოსილი მტრის წინსვლისა, მისი ჩინებული შეიარაღებებისა, გმირი რიფები მაინც არ იხევენ უკან, არ სტოვებენ ბრძოლის ველს და უშიშრად, მტკიცედ ებრძვიან ათასჯერ უფრო მრავალ რიცხოვან და სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით შეიარაღებულ მტერს.

რიფები მარტონი არ არიან ამ უთანასწორო ბრძოლაში. მათ მხარეზეა საფრანგეთის კომუნისტური პარტია და პროლეტარიატის რევოლიუციონური მოწინავე ნაწილი. იმ დროს, როცა საფრანგეთის სოციალ-გამყიდველები კვერს უკრავენ თავის ქვეყნის მყვლეფელებს თავისუფალ რიფების განადგურების საქმეში, კომუნისტები და მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი სასტიკად ებრძვიან ამ საძაგელ ავანტიურას. საფრანგეთის კომუნისტური პარტია ამ ჟამად სასტიკ და სახელოვან ბრძოლას აწარმოებს მაროკოს ომის წინააღმდეგ. ის მოუწოდებს საფრანგეთის ჯარისკაცებს ხელი აიღონ ძმათა სისხლისმღვრელ ომზე და გაუწოდონ ძმური ხელი თავისუფლებისათვის მებრძოლ რიფებს.

კომუნისტები მოუხმობენ საფრანგეთის მუშებს და გლეხებს ბოლო მოუღონ ამ სამარცხვინო ომს, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტები, თავისი ჯიბეების ინტერესებისათვის.

კომუნისტების მოწოდებამ ფართე გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთის პროლეტარულ მასებში, რომლებიც დიდათ უკმაყოფილონი არიან მაროკოს ავანტიურით. საფრანგეთის ყველა კუთხეებში გაისმა მუშების საპროტესტო ხმა.

საფრანგეთის მთავრობას ეს არ ეპაშნიკა. შეშინდა, კომუნისტების აგიტაციამ მართლადაც არ შეუშალოს ხელი ომის წარმატებით დამთავრებასო, და მიმართა ზომებს. როგორც დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, საფრანგეთის ხელისუფლება შეუდგა კომუნისტების დევნას, მათ დაპატიმრებას და პასუხისგებაში მიცემას.

ამით ბურჟუაზიას სურს ჩააჩუმოს კომპარტია და წინანდულად განაგრძოს რიფების გაჟლეტის საქმე. ამას ის ვერ მიაღწევს.

დევნას საფრანგეთის კომპარტია არ შეუშინდება. ბურჟუაზიის თითეული თავდასხმას ის უფრო მეტი კონტრიერიშით უპასუხებს და წინანდული ენერგიით განაგრძობს თავის ბრძოლას მაროკოში წარმოებულ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომპარტიას მტკიცედ აქვს შეგნებული თავისი ისტორიული მიზნები. მან კარგად იცის, რომ მხოლოდ შეუპოვარი, დაუღალავი ბრძოლით მიაღწევს ის ამ მიზნებს. მან იცის ისიც, რომ საბოლოო გამარჯვება მუშათა კლასის და დამონავებულ ერების მშრომელთა მხარეზე იქნება, და ამიტომაც ვერავითარი დევნა, ციხე, სასამართლო, დახვრეტა ვერ ააღებინებს მას ხელს ყველა დაჩაგრულთა და დამონავებულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე.

—ე.

### კომუნისტების გადასახლება ინგლისიდან.

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ამ უახლოეს ხანში ინგლისიდან გააძევოს 50 რუსი და ფრანგი კომუნისტი.

### ავსტრიის მელითონეთა გაფიცვა.

ავსტრიის ქალაქ დონაუვიცში გაიფიცა 4.000 მუშა. მუშები გაიფიცენ იმიტომ, რომ მწარმოებლებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ.

### სამართლიანი პროტესტი.

ლონდონის პროფკავშირების საბჭოს წარმომადგენლებმა განინგტონმა და სმიტმა ინახულეს პოლონეთის წარმომადგენლობა ლონდონში და პროტესტი განუცხადეს მას ამხ. ლანცუცკისათვის გამოტანილ განაჩენის გამო. როგორც ვიცით ამ უკანასკნელად პოლონეთის რეაქციონურ მთავრობამ სრულიად უსაფუძვლოთ სამი წლის კატორღა გადაუწყვიტა კომუნისტურ პარტიის გამოჩენილ წევრს ამხ. ლანცუცკის.

---

## მოსულის საკითხის გარშემო.

### ერთა ლიგის წრეები უიმედოთ უცქერიან მოსულის საკითხის მოგვარებას.

ერთა ლიგის ყრილობის დელეგაციები უიმედოთ უცქერიან მოსულის საკითხის მოგვარებას, რადგან მდგომარეობა გაართულა ოსმალეთის უარმა ინგლისის წინადადებაზე დანიშნულ ახალი საანკეტო კომისია მგომარეობის ადგილზე გამოსარკვევად. გაზეთები სწერენ, რომ ამ გარემოებით ძლიერ უკმაყოფილონი არიან დანარჩენ სახელმწიფოთა დელეგაციები, რამაც, შეიძლება, ხელი შეუწყოს საკითხის ინგლისის სასარგებლოდ გადაწყვეტას. ჰავასის სააგენტოს ცნობით კი, ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასდო თავისი გამგზავრება ანგორაში (ოსმალეთის დედაქალაქი), რადგან მან მიიღო ახალი წინადადება ინგლისელებისაგან ერთა ლიგის დელეგატის მოსულის მოსაზღვრე ოლქებში გაგზავნის შესახებ.

---

## საბჭოთა კავშირში

### მეორე გლეხთა მომგებიანი სესხი.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა შემოტანილი კანონ-პროექტი გლეხთა მეორე მომგებიანი სესხის გამოშვების შესახებ. კანონ-პროექტი დამტკიცებულ იქნება საკავშირო ცაკის მიერ.

## პარტიული ცხოვრება

### მე-4 ქართ. ტერ-ლეგიონი.

21 სექტემბერს ჩვენი ლეგიონის სამნეო ასეულში შესდგა კომ.-უჯრედის ღია კრება. კრებაზე დაესწრენ ასეულის მთელი შემადგენლობა.

დღის წეს-რიგში იდგა საკითხი: 1-ლი სასოფლო სამეურნეო მთლიან გადასახადის შესახებ.

1-ლი საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გელაშვილმა, რომელმაც კრებას გააცნო მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა და მისი შედეგი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. მოხსენების დამთავრების შემდეგ იქნა შემოტანილი აუარებელი შეკითხვები. შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

დ. ქაჯაია.

### 6-ე ლეგიონის 11 უჯრედი.

18 სექტემბერს შესდგა ლეგიონის მეთერთმეტე კომუჯრედის და ახკომკავშირის წევრთა გაერთიანებული კრება. დაესწრენ უპარტიონიც. კრებაზე გაირჩა შემდეგი საკითხები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და დისციპლინაზე.

აღინიშნა სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა, მისი განაწილება და მრავალი სხვა.

შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამხედრო დისციპლინაზე ამხ. იორამაშვილი.

ყველა პარტამხანაგებმა და ტერარმიელებმა ერთხმად გამოიტანეს დადგენილება, რომ ხელს შეუწყობენ სამხედრო დისციპლინის დაცვის საქმეს და ყოველმხრივად დაეხმარებიან ამაში ლეგიონის მეთაურებს.

იყო მოხსენება აგრეთვე კომუჯრედის და ნაწილის აღმშენებლობაზე.

— ამ მხრივ, თითეული პარტიის და ახკომკავშირის წევრი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ნაწილის ტერ-არმიელისათვის—განაცხადა ამხ. მომხსენებელმა. გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ამხანაგები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ საალმშენებლოდ წარმოებულ მუშაობაში.

ბოლოს განაწილებული იქნა პარტდავალებები, აქტიურსა და მომზადებულ პარტ და ახკომკავშირელთა შორის.

ასეულში მოვლენილი არიან აგრეთვე კურსანტები მეთაურთა სკოლიდან, რომლებიც დიდ აქტივობას იჩენენ ყოველგვარ დავალებების დროს. სამხედრო საქმეს, პოლიტსაათსა და ლენკუთხეებში საუბრებსა და ხმამაღალი კითხვის გამართვაში დიდ გულმოდგინეობას იჩენენ.

ტერკორი თ. მესტიაშვილი.

### 5-ე ლეგიონის 2-ე უჯრედი.

ლეგიონის მეორე ასეულში კარგ ნიადაგზე სდგას პოლიტიკური და პარტიული მუშაობა. ორ კვირაში ერთხელ სისტემატიურად ეწყობა ღია კრებები ახკომკავშირელებსა და უპარტიო არმიელებთან ერთად. ასეულის კომკავშირის ჯგუფს ყავს საკუთარი ორგანიზატორი. ჯგუფის კრებები ხდება თვეში ორჯერ.

ისე ყოველკვირაში მიმდინარეობს პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა.

უჯრედი ამასთანავე ერთად ხელმძღვანელობს ნაწილში კვირეულ კედლის გაზეთს. საერთოდ მუშაობა ნაყოფიერია ზედმიწევნით უჯრედის მოღვაწეობის ყველა დარგში. უპარტიო მასაში ყოველდღეობით იზრდება უჯრედის ავტორიტეტი.

პარტკორი ალგიჯო.

## ტერიტორიალურ შეკრების გამო.

### ქვეითა ჯარის შეიარაღება და სხვა და სხვა ქვეითა ჯარის იარაღის დანიშნულება.

რამოდენიმე ათეულ წლების წინეთ ქვეითა ჯარის დანიშნულება არ იყო მაინც და მაინც რთული: შაშხანას და ხიშტს თავისუფლად შეეძლო ყოველგვარ დანიშნულების შესრულება. სულ უკანასკნელ დროს, როდესაც ტეხნიკამ დიდი ნახტომი გააკეთა წინ, ქვეითა ჯარი იმატებს ბრძოლის ახალ საშუალებებს და ეს შემატება ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა წინ. და ჩვენ ეხლა, შეიძლება ითქვას, ქვეითა ჯარში მთელი არსენალი მოგვეპოვება. იარაღის სხვა და სხვაობის გამო ქვეითა ჯარი შეიქმნა დამოუკიდებელი, ვიდრე წინედ იყო, ე. ი. მას ეხლა შეუძლია შეასრულოს ისეთი საბრძოლო ამოცანები, რომლისათვის წინედ მას არ შესწევდა ძალღონე.

რა იარაღებია ქვეითა ჯარში?

ქვეითა ჯარის შეიარაღება ორ სახისაა: პირადი და ჯგუფური იარაღი. პირველს ეკუთვნის: შაშხანა ხიშტით, ხელით სასროლი ყუმბარა და რევოლვერი.

შაშხანით ახლო მანძილზე უნდა განადგურდეს მტრის ცოცხალი ძალები (400 მეტრზე). ჯგუფური ცეცხლი, რომელსაც რამოდენიმე შაშხანით აწარმოებენ, თუ ერთი მიზანში ისვრიან, სწარმოებს საშუალო მანძილზე (1000 მეტ.). ასეთი ცეცხლის სიძლიერე დამოკიდებულია შაშხანასა და გასროლილ ტყვიათა რაოდენობისაგან. შაშხანა შეიარაღებულია ხიშტით ხელჩართულ ბრძოლისათვის. ამ რიგად, შაშხანა გამოიყენება, როგორც სროლითი, ისე ხელჩართულ ბრძოლის დროს.

ხელით სასროლი ყუმბარით შეიძლება ახლო მანძილზე ცოცხალ ძალების, სანგარში მყოფ მტრის ტყვიამფრქვევის და სასროლ ბუდეების მოსპობა. ხელით სასროლ ყუმბარები სხვა და სხვა გვარია, მაგრამ ისინი იყოფიან ორ ნაწილად: შეტევისათვის გამოსადეგი და მოსაგერიებელი.

რევოლვერი ხელჩართულ და ახლო მანძილზე ბრძოლისათვის ვარგა. ეს იარაღი უმთავრესად თავდაცვის და კრიტიკულ მდგომარეობაშია გამოსადეგი.

**ჯგუფის იარაღებს ეკუთვნის:**

ავტომატები, რომლებიც აძლიერებენ შაშხანას ცეცხლს. თავის სიმსუბუქის გამო, მათ შეუძლიათ ყოველგან თან ახლდეს მსროლელებს.

ავტომატის ცეცხლის ძალა დაახლოვებით უდრის 10 შაშხანის ძალას. როდესაც განცალკევებული სროლაა მისი მიზანში მოხვედრა არაფრით არ ჩამოუვარდება შაშხანას, ავტომატის ცეცხლი კი, მისი დგომის მერყეობის გამო, ძლიერ იფანტება, რის გამო მიზანში მოხვედრაც სუსტია.

ტყვიამფრქვევები იყოფებიან მძიმე და ხელით სასროლზე. ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი ის საშუალო და უმეტესად ახლო მანძილზე, აგრეთვე ესვრის მტრის ტყვამფრქვევებს, რომელიც ხელს უშლიან ქვეითა ჯარის მსვლელობას. ხელით სასროლი ტყვიამფრქვევი თან ახლავს მსროლელებს, ანადგურებს მტრის წინა რაზმებს და ამით გზას უკაფავს ქვეითა ჯარს.

მძიმე ტყვიამფრქვევი ბრძოლის მთელ განმავლობაში მოქმედებს, ისახავს დიდ მიზნებს უმთავრესად მტრის ლეგიონის ზარბაზნების და ტყვიამფრქვევის აგრეთვე მის ცოცხალ ძალების განადგურებას.

თოფით გასასროლი ყუმბარას იგივე დანიშნულება აქვს როგორც ხელით სასროლ ტყვიამფრქვევთ. განსაკუთრებულ ხელსაწყოს დახმარებით (მორტირკა) რომელსაც შაშხანის ლულაზე აცვამენ, შაშხანის ყუმბარას გადაისვრიან 500 ნაბიჯის მანძილზე.

შაშხანის ყუმბარის დაფანტვა ნაკლებია, ვიდრე ხელით სასროლ ტყვიამფრქვევს აქვს.

ლეგიონის ზარბაზნები ბრძოლას აწარმოებენ ახლო მანძილზე და მუშაობენ ქვეითა ჯართან მჭიდროდ დაკავშირებით. მათი დანიშნულებას შედგენს ბრძოლა ჯავშნიან მაშინებთან, ტანკებთან, მტრის ტყვიამფრქვევთა გასანადგურებლად და საერთოდ ყველა იმ მიზნებისათვის, რომლებიც ხელს უშლიან იერიშამდე და იერიშის დროს ჩვენს ქვეითა ჯარს, როდესაც დივიზიის არტილერია ვერ მუშაობს იმის შიშით, რომ მან არ დააზიანოს თავისივე ნაწილი.

გარდა ამისა ქვეითა ჯარს აძლევენ მინების, ბომბების და ცეცხლის მტყორცნებს. ბრძოლის ეს საშუალებები გამოიყენება ახლო მანძილზე პოზიციონურ ომის დროს მტრის სიმაგრის და მის ცოცხალ ძალების გასანადგურებლათ.

როდესაც შეიარაღებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ვახსენოთ ბრძოლისათვის იმ საჭირო ნივთებზე, ურომლისოდ ვერც ერთი მსროლელი ვერ აწარმოებს ბრძოლას—ეს არის ბარი და აირის საწინააღმდეგო ნიღაბი, რომლებიც განუყრელი თანამგზავრნი არიან ქვეითა არმიელისა. ამრიგად, ქვეითა ჯარი მდიდარია ბრძოლის ცეცხლის საშუალებებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ბრძოლაში მტრის ცეცხლს გადააჭარბო, ე. ი. ჩააჩუმო მტრის ცეცხლი.

პ.

---

## წითელ არმიის და ფლოტის სახლის საქმიანობიდან.

(დასასრული)

### თეატრი და კინო.

თეატრთან არსებობს ახალგაზრდა რუსულ მსახიობთა წრე „რემტი", რომელიც თანდათანობით იწრთვნება დრამატიულ ხელოვნებაში. საზამთრო სეზონში ჩამოყალიბდება აგრეთვე ქართული დრამატიული სტუდია გარნიზონის ძალებით, და მომღერალთა გუნდი რომლითაც ძლიერ მდიდარია 2 არტლეგიონი.

თეატრში და კინოში თითქმის ყოველ დღე ახალ ახალი დადგმებია, რომელიც თავის შინაარსით საუკეთესო აღზრდას აძლევს წითელ მოლაშქრეებს.

თეატრში იდგმება მორიგეობით წარმოდგენები ქართული ნაწილების მიერ, რაც ფრიად დადებით მიღწევებს გვაძლევს.

### ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

ბიბლიოთეკაში ირიცხება 50.000 წიგნამდე. საიდგანაც 30 პროც. საზოგადოებრივ მეცნიერების განყოფილებისაა. 30 პროც.—სამხედრო, 10 პროც.—ისტორია, 10 პროც. სამხატვრო—ლიტერატურული, დანარჩენი პრაქტიკულ ხასიათის მეცნიერებიდან; ტეხნიკამეცნიერება, საინჟენერო დარგი და სხვა.

ყოველ დღიურათ ბიბლიოთეკაში 40-50 კაცი კითხულობს გაზეთებს, მხოლოდ 60-100 კაცამდე მიაქვთ სახლში წასაკითხავათ. ყველაზე უფრო ეწაფებიან წასაკითხავად სამხედრო-პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

წიგნის მკითხველები საერთოდ 700-ია. აქედან 70 პროც. უპარტიო შემადგენლობაა, 30 პროც. კი წითელ არმიელები და კომკავშირლები.

საცნობო მუშაობა ბიბლიოთეკაში კარგ დონეზე დგას: იმართება კითხვა—პასუხის საღამოები წითელ არმიელებთან და მუდმივათ ბიბლიოთეკაში ორი კითხვა—პასუხის რვეულია ქართულ და რუსულ ენებზე: ბიბლიოთეკასთან არსებობს ჭადრაკის ოთახი, სადაც ყოველ დღიურად 50—60 კაცამდე თამაშობს.

ბიბლიოთეკას მჭიდრო კავშირი აქვს დაკავებული მთავპოლიტგანათლების სკოლის გარეშე მუშაკის სახლთან. იქ ჩვენი წარმომადგენელი ხელმძღვანელობს ბიბლიოგრაფიის სექციას, და აგრეთვე ვთანამშრომლობთ მათი ჟურნალ „წიგნის მეგობარ.-"ში, სადაც ვახდენთ მის ნაწილობრივ „გასამხედროებას".

ჟურნალ-გაზეთები მოდის ყოველ დღე, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა. სამკითხველოში არის გაზეთები რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ და სხვა ენებზე.

ასეთი მკვრივი პოლიტგანათლების ორგანიზაცია ჩვენი დივიზიის მუშაკებმა აუცილებლივ უნდა გამოიყენონ, და უნდა შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც ჩვენ გვაქვს ნაწილებში.

რუსულ ნაწილებს დიდი პრაქტიკა აქვთ მიღებული სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, მათი რევოლიუციონურ იდეოლოგია მტკიცეა და შეურყეველი.

ჩვენი ვალია შევისისხლხორცოთ პრაქტიკა, რომელიც მიღებული აქვთ ჩვენს მოძმე რუსის ნაწილებს.

ყოველივე ეს კი თავმოყრილია წითელი არმიის და ფლოტის სახლში; თქვენი ზნეობრივი ვალია დაუახლოვდეთ ქართული სექციის აპარატით კ. წ. ა. სახლს და ყოველ პრაქ. თეორიული ნიმუშები გადმოიღოთ, შეიტანოთ და მოახმაროთ თქვენი ნაწილის კეთილდღეობას.

დაგო.

# ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## მე 4 ლეგიონის ერთი წლის თავის ჩატარება.

დილაა. წითელ-არმიელები და უფ-პოლიტ-შემადგენლობა ფუს-ფუსით ემზადებიან სანისათვის.

10 საათზე მთელი ლეგიონი მოეწყო წინა ხაზზე.

გაისმა ორკესტრის ხმა..

გამოჩნდენ დროშები, სამოქალაქო ორგანიზაციები მოვიდენ მოსალოცაო.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მთელი ლეგიონმა და ორგანიზაციებმა თავი მოიყარეს ტრიბუნასთან.

მიტინგი გახსნა ლეგსამხკომ ამხ. ნანაძემ რომელმაც ილაპარაკა ლეგიონის ისტორიის გარშემო.

ამის შემდეგ გამოვიდენ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელნი მისასალმებელ სიტყვებით...

უცებ შეწყდა ხმაურობა. გაიცა ძახილი.. სმენა!

გამოჩნდა ტრიბუნაზე ფილიპე მახარაძე რომელმაც სიტყვით მიმართა ლეგიონს.

მიტინგი კიდევ გაგრძელდა. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ გადასცა დროშა ლეგ მეთაურს. მუსიკამ შეასრულა ინტერნაციონალი.

1902 წ. დაბადებული ცვალებადი შემადგენლობა დებულობს წითელ ფიცს ამხ. ფილიპე მახარაძესაგან რომლის შემდეგ ხდება საპატივცემლო გავლა სანსი მიიღო ამხ. ფილიპე მახარაძემ.

შემდეგ ამხ. ფილიპემ დაათვალიერა თითქმის ყველა კარვები სათითაოდ.

საღამო ჟამს ლეგიონმა გამართა ნადიმი, სადაც დაესწრო ორასამდე კაცი: მთელი უფ-პოლიტ-შემადგენლობა, წ. არმიელები და სტუმრები.

ასე ჩატარდა ლეგიონის წლის თავის ღსანიშნავი დღე.

სამხკორი ხან—მანი.

## ჩვენი საქმიანობა.

მე-5-ე ლეგიონის მე-3-ე ათასეული ქუთაისში ჩამოსვლის თანავე შეუდგა მუშაობას.

მოეწყო ლენინის კუთხეები ასეულებში. ახალ ცვალებად შემადგენლობის წითელ ლაშქრელებთან მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. საერთოთ წითელ-არმიელებიც მეცადინეობას გულმოდგინეთ ეკიდებიან. ასეულებში სისტემატიურად ტარდება პოლიტ და სანიტ საათები. აგრეთვე არსებობს სპორტ-წრე, რომელშიდაც მონაწილეობენ წითელ ლაშქრელები, სასპორტო საქმეს ისინი საკმარისად არიან გაცნობილი.

სამხკორი ყულისკარელი.

## მე-5 ლეგ. 1-ლი ათასეული ალლუმზე.

19 სექტემბერს ლეგიონის 1-ლი ათასეული გაემგზავრა ალლუმზე, რომელიც ყაზარმიდგან იმყოფება 6 ვერსის მანძილზე. ჩვენი მიზანი იყო დაგვეპყრა მაღალი მთის მწვერვალი, რომელზედაც მოთავსებული იყო ძველი ციხე. მიახლოვებისას გავუშვით მზვერავები, რომლებიც მამაცურად მოქმედობდენ. მივედით მტერთან. მძიმე ტყვიამფრქვევის ცეცხლამდე, გავხსენით ცეცხლი ჩვენი ტყვიამფრქვევებიდან.

ცეცხლის ქვეშ კი მიდიოდა ჩვენი ქვეითა ნაწილი, რომელიც ფრთხილად მიეპარა მტერს.

გათავების შემდეგ აღმოჩნდა რომ მტრის ძალა საგრძნობლად დაგვიზიანებია.

აღსანიშნავი იყო ის, რომ წითელ არმიელები ძლიერ მამაცურად მოქმედებდენ. ათასეულმა ბრწყინვალედ შეასრულა მიცემული ამოცანები და გახარებული გამოვეშურეთ უკან.

სამხკორი ალგიჯო.

## ჩვენი საქმიანობიდან.

მე-5 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ჩამოყალიბებულია როგორც პოლიტ-განყოფილება, ისე კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაც.

ყველა ასეულები დაყოფილია ჯგუფებათ, რომლებშიდაც ტარდება პოლიტ-საათები.

არმიელები დიდი მონდომებით ეკიდებიან საუბრებს და კარგი ნაყოფიც არის მოცემული. ყველა საგრძნობად გაერკვენ პოლიტიკურ საკითხებში.

**ლენინის კუთხე.**

ყველა ასეულებში არის მშვენივრათ მოწყობილი ლენინის კუთხები, სადაც სისტემატიურად ტარდება საუბრები სხვა და სხვა წითელ არმიელებისათვის საინტერესო საკითხებზე.

**სამხედრო საქმე.**

სამხედრო მეცადინეობის საქმის ტეხნიკური მხარე ლეგიონში ვერ დგას კარგ ნიადაგზე. არ არის დაცული დასასვენებელი საათები, და არც სამეცადინო საათებია წესიერად განაწილებული. ხშირია მოვლენა, რომ გეგმის წინასწარ შეუდგენლობის გამო მშიერი რჩება მთელი ათასეულები.

საჭიროა აგრეთვე მესამე ათასეულ ს მეთაურებმა უფრო ენერგიულად მოჰკიდონ თავის საქმეს ხელი წითელ არმიელებთან დაახლოვების საქმეში რასაც არ ექცევა მათ მიერ ყურადღება.

კურს. ვ. ბერიძე.

## პოლიტსაათები ჩვენთან.

6-სე ტერლეგიონი.

ლეგიონის საკომენდანტო და საკავშირო ასეულებს პოლიტსაათებში ამეცადინებს სამხედრო სკოლიდან მოვლინებული კურსანტი. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ დღე. წითელ არმიელები ენერგიულად ეკიდებიან მეცადინეობას, რის გამოც თითქმის გავიარეთ მოცემული პროგრამა. ამ უკანასკნელად ხელმძღვანელმა დაგვინიშნა ერთგვარი გამოცდები—კითხვა პასუხის წესით, რომ გამოერკვია თუ რამდენად შევსძელით გავლილის შეთვისება. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას კარგად ჰქონდა საგანი შეთვისებული. მხოლოდ მოიკოჭლებენ საკომენდანტო ოცეულის რამდენიმე ამხანაგები.

ამის მიზეზი, როგორც გამოირკვა ყოფილა ის, რომ ეს ამხანაგები ხშირად აკლდებოდენ მეცადინეობას, რაც გამოწვეულია ყოველ დილაობით სამუშაოზე სიარულით და სამ დღეში ერთხელ კი განწესებაში გასვლით.

კარგი იქნება, რომ პოლიტსაათების დროს არ გაიყვანდენ ამხანაგებს სამუშაოზე. საჭიროა აგრეთვე თავისუფალ დროს მიეცეთ ამ ამხანაგებს საშვალება დაეწიონ თავის ამხანაგებს.

რ. ქორი.

## ქიმიური საქმე.

მე-6 ლეგიონი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც დივიზიის ქიმ-ინსტრუქტორულ კურსებიდან ჩვენს ლეგიონს დაუბრუნდენ მომზადებული ქიმ-ინსტრუქტორები, რომლებიც შეუდგენ ლეგიონში მუშაობას.

ქიმიური საქმის მოგვარებისათვის ნაწილში ისინი არ ზოგავენ თავის ენერგიას.

წითელ არმიელებიც ძლიერ დაინტერესდენ ამ საქმით დახშირად ვარჯიშობენ, აირმსპობების ჩქარ ხმარებაში. ასე რომ ლეგიონში ქიმიურ საქმემ მძლავრად მოიკიდა ფეხი და თუ გვექნა დრო სხვა და სხვა ამოცანების შესასრულებლად. თამამად შეგვიძლია ვაწარმოოთ საბრძოლო გაზების მოხმარა, მასიური და ინდივიდუალური თავდაცვა და სხვა.

ნ. წულაძე.

# ახალ შეკრების მოლოდინში

## ახალი ცვლა.

ჩვენთან სულ მოკლე ხანში მოვლენ 1903 წ. დაბადებული ახალ წვეულები. ნაწილების პარტ-პოლიტ ორგანიზაციები წინდაწინვე ემზადებიან ამ ღირშესანიშნავ კამპანიის ჩასატარებლათ.

ახალწვეულებს მოუთმენლად ელის აღმზრდელი-მასწავლებლები.

გაჰქრა და დავიწყებას მიეცა, ის დრო როდესაც ქვითინით და კვნესით მოაცილებდენ თავიანთ შვილებს მშრომელი ხალხი ძველი შავბნელი ყაზარმებისაკენ!

ძველს ჯარში მიღებულ ახალგაზდობას დაკარგული ჰქონდა იმედი შინ დაბრუნებისა. მას გადააცილებდენ ცხრა მთას. შორეულ ცივ ჩრდილოეთისაკენ, საიდანაც იშვიათად თუ მობრუნდებოდა.

დღეს კი ახალგაზრდობა, არა მათრახებით და მობილიზაციურ შიშით ირეკება ყაზარმებისაკენ, არამედ შეგნებით და ხალისით თვით ახალწვეულები მოისწრაფიან ჩვენი წითელი ყაზარმებისაკენ; სადაც ის აღიზრდება, როგორც საუკეთესო მსროლელი-მხედარი და ამასთანავე შეგნებული მოქალაქე.

შვებული წითელი-ლაშქრელები კი სახლებში დაბრუნებისას პატიოსან რევოლიუციონურ ფიცს სდებენ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ისინი პირველ გამოძახილზევე მშვიდობიან შრომის იარაღებს შეცვლიან შაშხანა სამხაზიან თოფზე და ახალ წვეულებთან ერთად მტკიცეთ დასდგებიან საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის სადარაჯოზე.

ახალწვეულნო! წითელი ყაზარმა-ახალგაზრდობის რევოლიუციონური სკოლა თქვენ მოუთმენლათ მოგელით. არ დაკარგოთ არც ერთი დღე და გამოცხადდით დანიშნულებისამებრ!

ყოველი წუთი ჩვენთვის ძვირფასია.

„დაგო"

## შვებულებაში წასულთა მადლობა მეთაურსა და პოლიტხელს.

მე-3 ქართ. ლეგიონი,

ჩვენ სამნეო ასეულის უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი-ლაშქრელები, რიცხვით 40 კაცი, ღრმეს მადლობას უცხადებთ ჩვენს ასეულის მეთაურს ამხ. ანთაძეს და პოლიტხელს ამხ. მელაძეს, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი ენერგია და გამოგვიყვანეს იმ უვიცობისაგან, რომელსაც განვიცდიდით. ჯარში გაწვევამდე თითქმის, ყველა წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავით და დღეს კი თავი დავაღწიეთ ამ უვიცობას ამხ. ანთაძისა და მელაძის ჩვენთან დაუღალავი მეცადინეობით.

ეხლა კი სრული იმედით მივდივართ შვებულებაში და ფიცსა ვსდებთ, რათა საბჭოთა ხელისუფლების დაძახებისთანავე ჩავდგეთ წ. ლაშქრელების რიგებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით.

მადლობა, ასეულის მეთაურს ამხ. ანთაძეს და ამხ. პოლიტხელს მელაძეს და ვუსურვებ საბჭოთა ხელისუფლებას რათა ასეთი მუშაკები როგორიც არიან ხსენებული ამხანაგები არ გამოლეოდეს მას.

ამხანაგების მონდობილობით

წით. ლაშქრ. ალაზნელი

## გამოცდებისთვის ვემზადებით.

1-ლი არტსკოლა.

სკოლაში გამოცდები გვეწყება 25 სექტემბრიდან. უკვე ცნობილია, თუ რომელ დღეს რა საგნებშია გამოცდები. ერთი კვირის განმავლობაში თავაუღებლად ვმეცადინეობდით, ვიმეორებდით ყველა განვლილ საგნებს. სიხარულით ველით იმ უთებს, როდესაც დავამთავრებთ გამოცდებს, მივიღებთ უნცროს მეთაურების სახელწოდებას და დაუბრუნდებით ნაწილებს არმიელების აღსაზრდელად. ჩვენ ვიცით, თუ როგორი მოვალეობა გვაწევს თავზე და სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ შრომას ეწევიან ჩვენი კურსანტები.

კურსანტი ვ. ლოლომაძე.

## სწავლას ძლიერ ეტანებიან.

5-ე ტერლეგიონი.

ყველა წერტებიდან [ჩამოვიდენ ლეგიონში ჩვენი ნაწილები. რუსები, ქართველები, აფხაზები, სომხები, ბერძნები, აჭარლები და ვინ გინდათ რომ არ იყონ ლეგიონის რიგებში. საინტერესო სანახავია, როდესაც თავისუფალ დროს შეიყრებიან ყველა ეს ამხანაგები და მრავალნაირი სიმღერებით აყრუებენ მიდამოს. ყველა ნაციონალური ნაწილები სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას იძენენ თავის სამშობლო ენაზე. სამწყობრო მეცადინეობის შემდეგ, იმართება წრეებში მეცადინეობა. უფრო დაინტერესებული არიან სპორტიული წრით. ხშირად იმართება შეჯიბრი ფეხბურთში. შემდგარია ფეხბურთელთა რაზმი, რომლებიც ხშირად გამოდიან სხვა ნაწილებთან შესაჯიბრებლად.

ლეგიონში დაარსებულია „სკოლის გარეშე სემინარი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამოუშვას სოფლის ქოხ-სამკითხველოებისათვის ხელმძღვანელები. წერტებში დაბრუნებამდე მცირე დრო დაგვრჩა, რომელიც მოხმარდება მანევრებს.

სამხკორი ო—26.

## მომზადებული ძალები სოფელს.

პირველი ლეგიონი.

სექტემბრიდან პირველ ლეგიონში დაარსებული იქნა საკოოპერაციო, სამილიციო და ქოხ-სამკითხველოს კურსები შვებულებაში მომავალ მოლაშქრეებისთვის.

გამოყოფილი იქნა კურსებისათვის ამხ. 15 პროც.

თითეული კურსებზე მეცადინეობდა 25-27 კაცი. პირველი ხანებში ძნელი იყო კურსების ჩამოყალიბება: ორგანიზაციული მხარეების მოგვარება, ლექტორების დაქირავება და სხვა, მაგრამ როგორც სხვა დროს, ისე ეხლაც 1-ლ ლეგიონმა შესძლო ყოველივე სიძნელის და დაბრკოლებების გადალახვა და მიზანი მიღწეული იქნა.

სექტემბრის 24—25 რიცხვებში კურსების მეცადინეობა დამთავრდება და უკვე 70—80 კულტურულ მომზადებული არმიელები მოეფინებიან საქართველოს სხვა და კუთხეებს.

გაუმარჯოს მათ კულტურული მუშაობას სოფლად.

პოლიტხელი ვ. კოხრეიძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

6-სე ლეგიონი.

22 სექტემბერს შესდგა ლეგიონის 7 და 8-ვე ასეულების ახკომკავშირელთა უჯრედის გაერთიანებული ღია კრება რომელსაც მრავალი უპარტიო ამხანაგებიც დაესწრენ.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

ახკომკავშირის როლი და მნიშვნელობა ტერ-ნაწილში, კავშირის წევრებზე სხვა და სხვა დავალებების დანაწილება და მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე ქართულ და რუსულ ენებზე იქნა გაკეთებული ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება და გარკვევით იქნა აღნიშნული თუ როგორ მუშაობას უნდა ეწეოდეს თითეული კავშირის წევრი ტერნაწილში. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო ნათელყო ის.

შემდეგ მოხდა კავშირის წევრებში სხვა და სხვა პარტ-დავალებების განაწილება.

ჩვენი ორგანიზატორი ძლიერ მონდომებულად მუშაობს, ყველა წევრებს თავის დროზე აბამს სხვა და სხვა ხასიათის პარტიულ მუშაობაში და ისინიც დიდ აქტიობას იჩენენ მიცემულ დავალებათა შესრულებაში, რაც წინ სწევს ნაწილში პარტიულ მუშაობას.

ახკორი ა. ჩაკაბერია.

# ნაწილების წერილებიდან.

## მოგვეცით განათება.

### პირველი ლეგ. სკოლა.

ორი კვირა სრულდება მას შემდეგ, რაც ლეგიონის სკოლა გადატანილი იქნა მეორე შენობაში, რომელიც სრულიად მოუწყობელია. არა გვაქვს ელექტრონის სანათურები. მთელ სკოლაში მხოლოდ ერთი პაწია სანათურია, რომელიც სჭირდება დღიურს. სხვაგან სიბნელეა. საწოლებს ვერ ვაგნებთ. საჭიროა დროზე გამოასწორებდენ ამ ნაკლს და დაგვიხსნიდენ სიბნელისაგან.

სამხედრო ივ. ბარელაძე.

## მეტი ყურადღება სახაზინო ქონებას.

### 2-რე საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსი ვერ აქცევს საჭირო ყურადღებას სახაზინო ქონებას.

ლეგიონში წყლის მოსაკავებელი ჭურჭლები დამტვრეულია. მათი შეკეთებაზე კი არავინ არ ფიქრობს. შემდეგ ცხენების საკვები მასალა ჯერაც კიდევ გარეთ—ცის ქვეშ არის დატოვებული და ზედ აწვიმს. საკვები ლპება და ჩქარა ალბად შეუძლებელი იქნება მისი გამოყენება.

მიაქციეთ ყურადღება და ნუ გააფუჭებთ ამდენ ქონებას.

ნაპერწკალი.

## რად გამოგვიცვალეს საცვლები.

მეორე საარტილერიო ლეგიონში ცვალებადელთა მოსვლამდე ძირედ შემადგენლობის არმიელებს ახალი საცვლები გვქონდა, მაგრამ მათი მოსვლიდან, საცვლები გამოგვიცვალეს და დახეული მოგვცეს.

რად დასჭირდათ ჩვენი საცვლები სხვისთვის? მოგვეცით ისევ ჩვენი კუთვნილი საცვლები.

შრომიშვილი.

## პური ცუდი გამოძლევა.

### მე-3 ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში, ბანაკიდან ყაზარმაში გადმოსვლიდან, ლეგიონში ძლიერ გაფუჭდა პურის ხარისხი. პურს არ სცრიან, რის გამო აუარება რამეები გვხვდება შიგ. საჭიროა ყურადღებით მოეკიდონ პურის გამოცხობის საქმეს და ერთხელ და სამუდამოთ მოსპონ ფურნეში გავრცელებული უსუფთაობა.

სამხედრო მიმავალი.

## ერთი იყოს და კარგი.

### პირვ. საარტ. ლეგიონი.

წითელარმიელებისათვის სადილს გვიმზადებენ ორი თავისაგან. სამწუხაროდ არც ერთი არ ვარგა. მეორე თავი მაინც მორიგეობის ცდათ არა ღირს. წითელარმიელებში უკმაყოფილებას აქვს ადგილი. კარგი იქნება სადილს ერთი თავიდან დაგვიმზადებდენ და ცოტა ნოყიერს. შრომაც ნაკლები წავა ამ მხრივ.

სამხედრო მოლითისპირელი.

# სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მომარაგება.

**ამერიკაში შეკვეთილია ხუთასი ათასი მანეთის ტრაქტორები.—გუთნების შეკვეთა გერმანიაში.— 100 ათასი ცალი ცელი და სხვა იარაღები ჩეხო-სლოვაკიიდან.**

მომავალი წლისათვის სასოფლო—მეურნეობის საჭირო მანქანებით მოსამარაგებლათ ა.კ. სახელმწიფო ვაჭრობამ წინდაწინვე შეუკვეთა საზღვარ გარეთ საჭირო იარაღ—მანქანები.

დიდი შეკვეთა აქვს მიცემული ამერიკას. იქ შეკვეთილია ტრაქტორები, რომელთა ფასიც უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. გამოწერილია ყველა სისტემის ტრაქტორები, რომელნიც გამოდგებიან, როგორც დაბლობ ისე მთაგორიან ადგილებში. სანიმუშოთ გამოწერილი იქნა 20 ცხენის ძალიანი ტრაქტორი „კლირაკის" სისტემისა.

გერმანიაში შეკვეთილია 200 ცალი ახლად გაუმჯობესებული გუთანი.

ამიერ-კავკასიაში დიდი ნაკლებობაა აგრეთვე წვრილმან სამეურნეო იარაღებზე, როგორც მაგალ., ცელები, ფიწლები, ფოჩხები და სხვა. ამ მიზნით ავსტრიიდან გამოწერილია 100.000 ცელი და 100.000 ფიწალი, ფოჩხი და სხვა.

ჩეხო-სლოვაკიიდან გამოიწერეს ასი ათასი ცალი „პლანეტ"-ის სისტემის კულტივატორი, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიწის დაფხვნა, ისე რომ მოსავალს უფრო გაუადვილდეს ამოსვლა და თავისუფლათ გაიზარდოს.

აღნიშნულ მანქანების მიღების და ადგილებზე დარიგების შემდეგ, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამ. კავკასიაში ძლიერ წინ წავა სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმე.

დ.

# ამბები სოფლებიდან

### შეფობა სოფელზე.

ცეკარის ვშირის გოგანყოფილებამ გადასწყვიტა მიიღოს შეფობა სოფ. დიცის თემის ერთ-ერთ სოფელზე.

### ფეიქრები შინა მრეწველობაში.

ქუთაისის მაზრაში შინა მრეწველობის წესით მუშაობს 1.349 მატყლით მქსოველები და 1450 აბრეშუმის მქსოველები.

### სიმინდის მოსავალი რაჭაში.

ქვემო რაჭაში სიმინდის მოწევას უკვე შეუდგენ. სიმინდის მოსავალი საშუალოზე უკეთესია.

### სახალხო სახლის ქარხანა.

ამ დღეებში, სოფ. ნუკრიანში (ქიზიყი) მოხდება სახალხო სახლის საზეიმო გახსნა.

### კონიაკის ქარხანა.

სოფ. წინანდალში სახალხო მამულებთან გაიხსნა კონიაკის ქარხანა, რომელიც ამუშავებულ იქნება ახლო ხანში.

### ამერიკული სიმინდი.

ქუთაისის აღმასკომმა წელს მოაწყო საცდელი მინდორი 200 დეს. სივრცით, რომელზედაც დათესა ამერიკული სიმინდი. სიმინდის მოსავლიდან გლეხებს დაურიგდებათ სათესლე მაისისთვის.

# ახალი ამბები.

— ძმური დახმარება. 1-ლი ქართული დივ. შტაბის და პოლიტგანყოფილების თანამშრომლებმა გაუგზავნეს სომხეთში წყალდიდობისაგან დაზარალებულთ დახმარების სახით 124 მან. 70 კაპ.

— ტყავის მრეწველობა. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ტყავის ქარხნებმა აგვისტოს განმავლობაში დაამზადეს 2.231 წყვილი ტყავი.

— ჭიათურის მაღაროებში ამჟამად მუშაობს 1.268 მუშა.

— თამბაქო საზღვარ-გარეთ წარმოკავშირს განზრახული აქვს საზღვარ-გარეთ გაიტანოს გასასაღებლათ 10 ათასი ფ. თამბაქო.

— პენსიონერები. ტფილისის დამზღვევ სალაროებში ამჟამად პენსიას ღებულობენ 1463 შრომით დასახიჩრებული და 794 ქვრივ ობოლი.

— დაზღვეულთა რიცხვი საქ. სახელმ. წარმოება დაწესებულებებში ამჟამად ითვლება 56.259 დაზღვეული მუშა-მოსამსახურეები

# უცხოეთის არმიებში

### ახალი ტანკები.

ინგლისის არმიაში ამ ჟამად სცდიან ახალი ტიპის ტანკებს, რომელსაც შეიძლება უწოდოთ ხმელეთის ფლოტის წყალქვეშა ნავი. ტანკა წარმოადგენს ძლიერ მსუბუქ მანქანას, რომელსაც თამამად მართავს ერთი კაცი. ახალი ტანკა ძლიერ მოძრავია. მას თამამად შეუძლია დიდ აღმართზე ავლა, ხევებში ჩასვლა და ადვილად იკაფავს გზას ტყეშიდაც. მანქანის მცირე მოცულობის და მოძრაობის დროს ჩუმი მოქმედების გამო მტერი ადვილად ვერ ამჩნევს მას.

ახალი ტანკა დაუფასებელი იარაღი იქნება ხიშტით შეტევაზე გადასვლის, სადარაჯო და მტრის დევნის დროს მოქმედებისათვის.

ასეთი ტანკების უეცარი გამოჩენა ბრძოლის ხაზზე საშინელ პანიკას შექმნის მოწინააღმდეგის რიგებში.

ისინი დიდ როლს ითამაშებენ დიდი ტანკების წინააღმდეგ მოქმედების დროს, როგორც ამას ამტკიცებენ სპეციალისტები.

# პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1924 წ. გაზაფხულზე. ვმსახურებ ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლაში წითელარმიელათ. გთხოვთ გვაცნობოთ, განთავისუფლებული ვიქნები თუ არა ჩემთან ერთად გამოწვეულ წითელარმიელებთან, რომლებიც მიდიან უვადო შვებულებაში სექტემბრიდან პირველ რიგში.

ალ. ქაშიბაძე.

**პასუხი.** განთავისუფლებული იქნებით პირველ რიგში.

**კითხვა.** 1901 წ. დაბადებულნი წითელარმიელები, რომელნიც გამოწვეულნი არიან 1924 წ. შემოდგომაზე, თავისუფლდებიან თუ არა ამა წლის შემოდგომაზე?

**პასუხი.** ამ წლის შემოდგომაზე არ თავისუფლდებიან.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ უპარტიო წითელარმიელებს იარაღის ტარება შეუძლიათ თუ არა?

წ. არმ. ა—ძე.

**პასუხი.** არ შეუძლიათ. თუ აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს იარაღის ტარება, ნებართვისთვის უნდა მიმართოთ შინაგან საქმეთა კომისარიატს.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელებს მიეცემათ თუ არა მაისში მიღებული ჩექმები?

წითელარმიელი ბ. აფაქიძე.

**პასუხი.** მიეცემათ.

**კითხვა.** ჯარში გაწვევამდე მე ვმსახურებდი საბჭოთა აფთიაქში მოწაფედ. ეხლა მსურს ისევ ამ საქმეზე გადასვლა. გთხოვთ მიპასუხოთ ვის მივმართო?

წ. არმ. ვასილაშვილი.

**პასუხი.** თუ არის თავისუფალი ადგილი სამხედრო აფთიაქში, მიმართეთ ექიმს.

**კითხვა.** ცალკე საკავშირო ასეულიდან შეიძლება თუ არა გადასვლა პირველ ლეგიონში?

წ. არმ. მო—რე.

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 821 (1924 წ.) ნაწილიდან ნაწილში გადასვლა არ შეიძლება.

**კითხვა.** შეიძლება თუ არა ქალ. თბილისში მდგომ ნაწილიდან ქ. ქუთაისის სამხედრო ნაწილში გადასვლა.

წ.-არმ. უთქმელიძე.

**პასუხი.** არა, ვინაიდან ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია რევ. სამხ. საბჭოს ბრძანებით.

**კითხვა.** 1924 წლის დეკემბრის თვიდან ვმსახურებდი გამოწვევით რუსულ ნაწილში 5 თვე, მერე გადამრიცხეს ქართულ მესანგრე ასეულში, ჩამეთვლება თუ არა ის 5 თვე.

წ.-ა- მოსე სუსუნიკაშვილი.

**პასუხი.** გაგიშვებენ უვადო შვებულებაში 1902 წელში დაბადებულ 1924 წლის შემოდგომაზე გამოწვეულ წ.არმიელებთან ერთად.

**კითხვა.** მიმდინარე დათხოვნის კატეგორიებათ დაყოფა ეხება მხოლოდ 1924 წლის მაისში გამოწვეულებს თუ სხვებსაც.

X.

**პასუხი.** კატეგორიებათ დაყოფილია მხოლოდ 1924 წლის მაისში გამოწვეულები იმის მიხედვით, თუ რომელ ნაწილში მსახურებს.

# პასუხად ამხ. „დის".

გაზ. „წითელ არმიელის" 26 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო ამხ. „დის" წერილი, რომელიც პირადათ ილაშქრებს ჩემზე და მაბრალებს თითქოს დავსცინოდე წ. არმიელებს. არ ვიცი რად დასჭირდა აღნიშნულ ამხანაგს ასეთი ბრალდება ჩემზე, როდესაც მე კანონიერად ვიქცეოდი და ერთი დამცინავი სიტყვით არავისთვის მიმიმართავს

საქმე შემდეგში იყო: მიდიოდა კინო სურათები კერძო მოქალაქეთათვის, პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა ძაგანიამ დამავალა წითელ არმიელები უფასოდ არ შემეშვა დარბაზში. თქვენ კი ამხ. „დი" ქურდულად გასტეხეთ უკანა კარები და წესრიგის დასარღვევად შემოიყვანეთ ვიღაც ახალგაზრდები. თქვენ კიდევ შეგწევთ გამბედაობა და იმ სიტყვებს, რომლითაც მე მაშინ მოგმართეთ წესრიგის დარღვევისათვის დაცინვაში მართმევთ. პირიქით თქვენ უნდა გცოდნოდათ და უნდა იცოდეთ, რომ მსგავსი მოქმედებით სახელს უტეხთ წითელ ჯარს და არღვევთ მის დისციპლინას.

ა. ბურჭულაძე.

# განცხადებები


## თუ ვინმემ იცის.

მოქალაქეთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენი შვილი კოტე გაბუნია მსახურებდა ქართულ დივიზიის ცხენოსან ლეგიონში კლუბის გამგეთ. ერთი წელიწადი შესრულდა რაც მის შესახებ არაფერი გაგვიგია. თუ ვინმემ რამე იცით გთხოვთ აცნობოთ ამის შესახებ 5-თე ლეგიონის ბიბლიოთეკის გამგე დევაძეს ქ. ქუთაისში.

**დაიკარგა** კომპარტიის წევრობის ბილეთი №81 6-სე ლეგ. პირველ ასეულის ზემდეგ ვლადიმერ სტ. ჩხიკვაძის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** ამხ. საშა ობოლაძის სახელობის უნცრო სმეთაურთა სკოლის დამთავრების შესახებ მოწმობა შალვა არქიფოსძე ნაფეტვარიძის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად


პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.